

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს

---

ძვირფასო სტუდენტებო,

უნივერსიტეტის დაარსებიდან 95 წლის აღსანიშნავად მიმდინარე წლის 22–26 იანვარს ტარდება პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

22–24 იანვარი განკუთვნილია სექციური მოხსენებებისთვის დეპარტამენტების შესაბამისად. სამეცნიერო მოხსენებას გააკეთებს ფაკულტეტის ყველა თანამშრომელი, ვინც კვლევით სამუშაოს ასრულებს.

25 და 26 იანვარი განკუთვნილია პლენარული სხდომებისთვის; ჩატარების ადგილი უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, სააქტო დარბაზი.

25 იანვარს ფაკულტეტის თითოეული დეპარტამენტი წარმოადგენს ერთ სამეცნიერო მოხსენებას.

26 იანვარს ფაკულტეტის თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარმოადგენს შემაჯამებელ მოხსენებას.

26 იანვარს 15 საათზე კონფერენციას დააგვირგვინებს თანამედროვეობის გამორჩეული მეცნიერის პროფესორ გია დვალის პლენარული მოხსენება თემაზე „შავი ხვრელების ფიზიკა და კოსმოლოგია“.

დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონფერენციის ვებ გვერდზე :

<http://conference.ens-2013.tsu.ge/>

გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციის მუშაობაში, რათა გააფართოვოთ თქვენი თვალსაწიერი, გაეცნოთ თუ კონკრეტულად რა სამეცნიერო თემატიკაზე მუშაობენ თქვენი მასწავლებლები; სამომავლოდ შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტის, საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის, სადოქტორო დისერტაციის თემა.

წაიკითხეთ თქვენთვის საინტერესო მოხსენების ანოტაცია, გამოიჩინეთ თავი და დაუსვით მომხსენებელს შეკითხვა!

გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,

რამაზ ბოჭორიშვილი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,  
სრული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე